ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5289433

ნომერი: AR1803781

თარიღი : 12.02.2021

გაცემის თარიღი : 15.02.2021

გაცნობის თარიღი : 15.02.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ავთანდილ ვარაზის ქუჩა, N 101ა, კორპუსი 1; კორპუსი 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4919426 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 12 თებერვალს №AR1803781 განცხადებით მომართა დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 13

აპრილის №4919426 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4919426 ბრძანებით შეთანხმდა №72.16.23.865 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (სექტორი 3, ბლოკი №11 და №12) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 21 აგვისტოს №5072398 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 21 აგვისტოდან 2023 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით.

განმცხადებელი განმარტავს, რომ სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4919426 ბრძანებით შეთანხმებულ ავტოსადგომების სართულების გეგმებზე ავტოსადგომების სავალი ნაწილის ფართობების მითითებასთან დაკავშირებით დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს შესწორებული გეგმების ჩანაცვლებას.

წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4919426 ბრძანებით შეთანხმებულ მე-11 სახლის -1 სართულის და მე-12 სახლის -1 სართულის გეგმებზე დაფიქსირებული ავტოსადგომების სავალი ნაწილის ფართობები არასწორად იქნა მითითებული და 277.6 კვ.მ-ის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 275.6 კვ.მ. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ ამავე გეგმებზე ავტოსადგომების ჯამური ფართობები სწორად არის მითითებული (724.9 კვ.მ.). ამასთან, აღნიშნული ავტოსადგომების სავალი ნაწილის ფართობების დაზუსტება არ იწვევს სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4919426 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების ფართობის ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4919426 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4919426 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული მე-11 სახლის -1 და მე-12 სახლის -1 სართულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე სართულების შესწორებული გეგმებით (მე-3 და მე-4 გვერდები).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4919426 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4919426 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.